ხელშეკრულება
კონკურსის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N89/01/15

ქ. ბოლნისი 27 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის გოგი მეშველიანის სახით და მეორეს მხრივ **შპს "იკორთა 2007"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ალექსანდრე კალანდაძის სახით (მინდობილობა - დანართი N1), სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის (კონკურსი N1644) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 **ქალაქ ბოლნისში, დავით აღმაშენებლისა და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩების შემაერთებელ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე კედლის დეკორატიულად მოწყობის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა (CPV 71300000).**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3540 (სამიათას ხუთას ორმოცი) ლარს.** დ.ღ.გ-ს ჩათვლით. (ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ - დანართი N2);

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. ფასების ცხრილი -- დანართი N3

3. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ (საკონკურსო განცხადების 20 და 21-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით) 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

3.4. საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - **ნიკოლოზ გობეჯიშვილი** - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის განყოფილების უფროსი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება განხორციელებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს **2015 წლის 28 მაისს** და დაასრულებს **2015 წლის 26 ივნისის ჩათვლით (30 კალენდარული დღე).**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

6.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6.1.2 იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი საჭიროების შემთხვევაში არ განახორციელებს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად პროექტის კორექტირებას, იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს მომსახურების საბოლოო მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.2.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება (დამზადებული სრული პროექტი) საჭიროების შემთხვევაში გადაგზავნოს ექსპერტიზაზე, აანაზღაუროს საექსპერტო მომსახურების ღირებულება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6,4.1 გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

6,4.2 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.

6.4.3 ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად მოახდინოს დამზადებულ პროექტებში ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან მაქსიმუმ 15 კალენდარულ დღეში.

6.4.4 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

8.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

_____	_____
შემსყიდველი	მიმწოდებელი

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10,1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11,1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	შპს „იკორთა 2007“
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106	ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N44
ს/კ 225393963	ს/კ 205216327
სს „ლიბერთი ბანკი“-ს ბოლნისის ფილიალი	სს „სასაქთველოს ბანკი”
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE65LB0120184309307000	ა/ა GE35BG0000000207382300

მუნიციპალიტეტის გამგებელი:	მინდობილი პირი
გოგი მეშველიანი	**ალექსანდრე კალანდაძე**

ტექნიკური დავალება

ქალაქ ბოლნისში დ. აღმაშენებლისა და ს.ს. ორბელიანის ქუჩების შემაერთებელ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე კედლის დეკორატიულად მოწყობის სამუშაოები

წინა საპროექტო-საძიებო სამუშაოები:

- გეოდეზია;
- გეოლოგია;
- არსებული კედლის მდგრადობის კვლევა.

ძირითადი სამუშაოები:

- არსებული კედლის გამაგრება (კვლევის შესაბამისად);
- საჭიროებისამებრ კედლის გაბარიტის ცვლილება;
- ახალი მხატვრულ-დეკორატიული კედლის მოწყობა, სარეკლამო აბრების განთავსებით;
- ღამის მხატვრული ნათებების მოწყობა.
- სარეაბილიტაციო კედლის გასწვრივ არსებული ტროტუარის რეაბილიტაცია.

საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- თავფურცელს – ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- პროექტის შემადგენლობას;
- განმარტებით ბარათს;
- სამუშაოების მოცულობათა უწყისს და სადეფექტო აქტს;
- არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას;
- ტექნიკურ მაჩვენებლებს.

წინა საპროექტო-საძიებო სამუშაოები:

- გეოლოგიურ დასკვნა.
- ტოპო-გეოდეზიური დოკუმენტაცია;
- არსებული კედლის მდგრადობის კვლევის შედეგები-რეკომენდაციები.

დეკორატიული კედლის მოწყობა:

- საპროექტო გადაწყვეტით კედლის მოწყობის ნახაზებს (ზემოაღნიშნული წარმოდგენილი იქნას კონკურსისათვის დამახასიათებელი, კვალიფიციურად შედგენილი გეგმებით, ჭრილებით, კვანძებით, დღისა და ღამის ვიზუალური ხედებით (რენდერები), შესაბამისი ტექნოლოგიების ჩვენებით, მასალის ტიპის და ხარისხის, მახასიათებელების და განზომილებების ჩვენებით, ტექსტური ნაწილითა და ყველა სათანადო დეტალიზაციებით).

ასევე მუშა პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს:

- სამუშაოების წინასწარი რესურსული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დოკუმენტაციის მომზადება, ყველა არსებული გადასახადების გათვალისწინებით.
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას ლოკალური ხარჯთაღრიცხვების სახით პროექტის ნაწილების შემადგენლობის შესაბამისად.
- ხარჯთაღრიცხვაში მითითებული იქნას მასალის ხარისხი, განზომილებები და მახასიათებლები.

შენიშვნა:

- საპროექტო ორგანიზაციის მიერ, ობიექტის ადგილზე დეტალური შესწავლით დადგინდეს ზემოჩამოთვლილი სამუშაოების პროექტირებისათვის საჭირო ყველა დეტალი.
- სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნას მის წინადადებაში.
- საპროექტო დოკუმენტაციის მიმდინარეობის პროცესში, ყველა დეტალი შეთანხმებულ იქნას გამგეობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან.

საქართველო, შპს „იკორთა-2007“
თბილისი 0179, ი. აბაშიძის ქ.№44. ტელ.: 223 26 63, 599 690 637

GEORGIA, LTD "IKORTA-2007"
TBILISI 0179, I. ABASHIDZE st. №4. Tel.: 223 26 63, 599 690 637

18.05.2015

საპროექტო მომსახურების შესყიდვა
კონკურსი N1644

- ✓ საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს 3 000 (სამი ათასი) ლარს.
- ✓ მომსახურების მიწოდება განხორციელდება არაუმეტეს 30 (ოცდაათი)კალენდარული დღის ვადაში.
- ✓ ანგარიშსწორება განხორციელდება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

შ.პ.ს. „იკორთა 2007“

დირექტორი /გ. ხურცილავა/

შემოსავლების სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
205216327

გადამხდელის დასახელება
შპს იკორთა 2007

ხელმძღვანელი
გივი ხურცილავა

გადამხდელის მისამართი
ვაკე-საბურთალო / ი.აბაშიძის 44 ბ.42

ელ-ფოსტა
cico-zoia@mail.ru

ტელეფონი
599427475

ცნობა

ეძლევა, "შპს იკორთა 2007"-ს (ს/კ 205216327) მასზედ, რომ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით სსკ-ს 158 მუხლის შესაბამისად ნებაყოფლობითი წესით რეგისტრირებულია დღგ–ს გადამხდელად 17/10/2008-დან.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 22/05/2015

ID: 3025236

3080610

სანოტარო აქტი

საქართველო ქ. თბილისი

ორიათასთცამეტი წლის ოცდაოთხ სექტემბერს მე, ნოტარიუს თინათინ დევდარიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ირ. აბაშიძის №39, ბინა №23-ში მომმართა *გიორგი ხურცილავამ (დაბადებული 05.04.1956წელს თბილისში, პირადი №01008022931)* და განაცხადა, რომ არის *შპს „იკორთა 2007"-ს (განაცხადის №637941 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №B13070608, ამონაწერის მომზადების თარიღი 16/07/2013, საიდენტიფიკაციო №205216327 სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 30/07/2007) დირექტორი* და გამოხატა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *გიორგი ხურცილავამ* **მომმართა.** ასევე მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასცამეტი წლის ოცდაოთხ სექტემბერს *გიორგი ხურცილავამ*, როგორც *შპს „იკორთა 2007"-ს დირექტორმა* წინამდებარე მინდობილობით *ალექსანდრე კალანდაძეს (დაბადებული 12.01.1990წელს თბილისში, პირადი №01017039579)*, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

შ.პ.ს. *„იკორთა 2007"-თან დაკავშირებით იყოს მისი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში, სანოტარო ბიუროში, მერიასა და მის სამსახურებში, ყველა კომპეტენტურ ორგანოებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის სამსახურში და საბაჟო სამსახურებში, შეუზღუდავად ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა იმ უფლებით, რომელიც მინიჭებული აქვს* ***გიორგი ხურცილავას წესდებით,*** *როგორც დირექტორს, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, კრების ოქმებს, აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს ხელშეკრულებები, შეაგროვოს წარადგინოს და მიიღოს საჭირო დოკუმენტები. იყოს შპს „იკორთა 2007" სს წარმომადგენელი „საქართველოს ბანკ"-სა და სს „ბანკი რესპუბლიკა"-ში და მართოს და განკარგოს შპს-ს სახელზე გახსნილი ნებისმიერი ანგარიშები, შეიტანოს, გამოიტანოს თანხა, შეამოწმოს და მოითხოვოს ანგარიშების ამონაწერები, განახორციელოს გადარიცხვები, კონვერტაცია, მინდობილი უფლებამოსილია აწარმოოს უნაღდო და ნაღდი ოპერაციები, მიიღოს ცნობები და ამონაწერები, დაამზადოს ყველა სახის საბანკო დოკუმენტი და მიიღოს ეს დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ბანკიდან ფულადი თანხის მიღება, ინტერნეტ ბანკინგის გამოყენება, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები, ხელი მოწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას, მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმება, ასევე იყოს მისი წარმომადგენელი საგადასახადო ორგანოში, შეიტანოს განაცხადი ელ. დეკლარაციის მომსახურებაზე, დარეგისტრირდეს ინტერნეტ-ბანკის მომსახურებაზე, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, მათ შორის ელ. დოკუმენტაცია.* ასევე შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.

ეს მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

ეს მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის, თინათინ დევდარიანის, სანოტარო არქივში.

[illegible]

დანართი: *(განაცხადის №637941 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №B13070608, ამონაწერის მომზადების თარიღი 16/07/2013, საიდენტიფიკაციო №205216327 სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 30/07/2007).*

გადახდილია საზღაური *10.00 (ათი) ლარი*, 2011წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების, **„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"** და 2 ლარი **„სანოტარო რეგისტრაციის საფასური" ზემოთმითითებული კანონის 39-ე მუხლის მოთხოვნით,** ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად 1.80 ლარი დღგ, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.